“ნეოლიბერალური” რეფორმების “ნეობოლშევიკური” შინაარსი

გაზეთი “დრონი” – 7-13 ივლისი, № 23, 2011.

ბოლო ხანს მუდმივად მსჯელობენ იმის შესახებ, ეკონომიკური განვითარების რომელ გზას უნდა დაადგეს საქართველო, გამოგვადგება თუ არა უცხო ქვეყნების გამოცდილება, რამდენად სამართლიანია ახლახან დამტკიცებული კანონპროექტები. ამ საკითხებზე გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა.

1 ივლისს, კარნეგი ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსმა სპეციალისტმა თომას დე ვაალმა ქართველი პოლიტოლოგების წინაშე წარმოადგინა ახალი ანგარიში „საქართველოს არჩევანი – ცვალებად პირობებში გამოკვეთილი სამომავლო სურათი“. ანგარიშში იგი საუბრობს საქართველოს შესაძლო განვითარების მოდელებზე. ესენია სინგაპურის ლიბერტარიანული მოდელი, „ძველი საქართველო“, რომელიც უცხო ქვეყნების გავლენის გარეშე, თავისი რესურსებით ცხოვრებას გულისხმობს და საქართველო – ევროკავშირის კონტექსტში. თქვენი აზრით, რომელი მოდელია გამართლებული საქართველოსთვის?

– დღეს საქართველოში იკვეთება სამი ძირითადი გზა. პირველი – ევროკავშირისკენ მიმართული გზაა. ხელისუფლება ამბობს, რომ უნდა მოხდეს საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში. თუმცა აქ თავს იჩენს მთელი რიგი სირთულეები. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბრიუსელმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, დაჩქარებულიყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მინიჭების პროცესი საქართველოსთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს ერთიანი ეკონომიკური სივრცე ექნება. ამისთვის ევროკავშირი ითხოვს ერთიანი რეგულაციების შემოღებას, რაც

გულისხმობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სისტემის შექმნას. სამწუხაროდ, სამი წელი გადის და ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯები ჯერ კიდევ არ გადაგვიდგამს. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის განცხადებით, არც 2012 წლისთვის აპირებენ ანტიმონოპოლიური რეგულირების თვალსაზრისით ახალი კანონპროექტის შექმნას. 2011 წლის 11 თებერვალს, პარლამენტში გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს 2015 წლისთვის მიაღწევს. ასე რომ, ხელოვნურად წელავენ დროს.

მეორე ვარიანტი, რომელიც მეტად გაპიარებულია, არის საქართველოში სინგაპურის ეკონომიკური მოდელის გადმოტანა, რაც ბევრი მიზეზის გამო შეუძლებელია. სინგაპური არის ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც სოფლის მეურნეობა არ გააჩნია. საქართველოს მოსახლეობის 57 % სოფლად ცხოვრობს, ხოლო სინგაპურული რეფორმები არაა დაკავშირებული აგრარულ სექტორთან. ამავე დროს, სინგაპურში სახელმწიფო კაპიტალიზმია. იქ ყველა დიდ ფირმას ქმნის სახელმწიფო და შემდეგ ხდება მათი სრული ან ნაწილობრივი პრივატიზაცია. ღვთის მადლით, არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის მმართველობისას არ გვქონია სახელმწიფო კაპიტალიზმი.

საგულისხმოა, რომ სინგაპურის იდეა პოპულარული გახდა ბელორუსიაში. ეს ძნელი გასაგები არაა, რადგან სინგაპურში ავტორიტარული რეჟიმია, 50 წლის განმავლობაში ერთი პარტია მართავს ქვეყანას და არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, რაც სრულიად ჯდება ბელორუსიის პრეზიდენტის, ბატონი ლუკაშენკოს გემოვნებაში.

არანაკლებ საინტერესოა ის, რომ სინგაპურის იდეა რუსეთშიც აიტაცეს. ამის შესახებ დმიტრი მედვედევმა სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე ისაუბრა, ხოლო რუსეთის ვიცე-პრემიერმა და პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ალექსანდრ ხლოპონინმა თქვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის განვითარებას სინგაპურიზაციაში ხედავს.

იკვეთება საინტერესო რამ: სინგაპური, ბელორუსია და რუსეთი ავტორიტარული ქვეყნებია და ჩნდება კითხვა: თუ საქართველო არ არის ავტორიტარული ქვეყანა, რატომ სურს ჩვენს პრეზიდენტს სინგაპურიზაცია?

მახსენდება მიხეილ სააკაშვილის განცხადება 2010 წლის შემოდგომაზე, როდესაც თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა არანაკლებ 50 წლით. ასე რომ, საქართველოს, ბელორუსიისა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის „სინგაპურული ნათესაობა“ შემთხვევითი არ არის.

თუმცა, 2011 წლის 11 თებერვალს სააკაშვილმა ისიც ბრძანა, რომ საქართველო მეორე სინგაპური გახდება 2015-2016 წლებში. ეს შეუთავსებელია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმთან. ამიტომ, შემიძლია ვთქვა: როგორც ევროკავშირია ერთ-ერთი ვექტორი საქართველოსთვის, ასევეა სინგაპურიც.

საქართველოში მკაფიოდ იკვეთება რუსეთისკენ მიმართულებაც. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა გაიხსნა რუსეთის ინვესტიციებით. 2011 წლის მაისში კი ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგოსადგურების ასაშენებლად სამი ლიცენზია მისცა რუსულ ენერგეტიკულ გიგანტს, „ინტერ-რაოს“. მასვე მიჰყიდეს „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“. მაგრამ ამის შემდეგაც ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ეკონომიკური კურსი მხოლოდ რუსეთისკენ მიდის.

ამ სამი, არათავსებადი მიმართულების გვერდით, გამოვყოფ მეოთხე მიმართულებასაც, რომლის შესახებ ჯერ კიდევ 2008 წელს ვსაუბრობდი და ჩემი სტატია გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმ გზას, რომელზეც საქართველოს ეკონომიკა დგას, ჰქვია „გზა არსაით“.

რაც შეეხება ლიბერტარიანულ იდეებს – ზღაპარია! ამბობენ, ბატონი კახა ბენდუქიძე ლიბერტარიანელიაო. სიამოვნებით დავიჯერებდი, ერთხელ მაინც რომ გაეპროტესტებინა საქართველოში საკუთრების უფლების მრავალჯერადი დარღვევა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ბატონი კახა ლიბერტარიანელია მხოლოდ საკუთარი ბიზნესისა და ხელისუფლებასთან ასოცირებულ პირთა ბიზნესის მიმართ.

საქართველოში უცნაური კომბინაცია ჩამოყალიბდა – ქართული რეფორმების ფასადი არის „ნეოლიბერალური“, ხოლო შინაარსი – „ნეობოლშევიკური“. ამ მოსაზრებას თომას დე ვაალიც იზიარებს თავის ბოლო დროს გახმაურებულ ანგარიშში.

– როგორც მახსოვს, კახა ბენდუქიძე ეწინააღმდეგებოდა ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობას...

– არათუ ეწინააღმდეგებოდა, 2004 წელს მან საერთოდ გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, რადგან მისი ფუნქციონირება საჭიროდ არ ჩათვალა.

– ალბათ ეს სამსახური იმიტომ გააუქმეს, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს თავიანთი მონოპოლიები გაეძლიერებინათ.

– საქართველოს ბაზარი საკმაოდ მონოპოლიზებულია. ამის დანახვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება. აქ რამდენიმე საწარმოს ერთი და იგივე ადამიანები აკონტროლებენ და ცდილობენ, ერთმანეთთან გარიგებაში შევიდნენ.

– თქვენ ახსენეთ ევროკავშირის მოთხოვნა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ბრძანა, საქართველოში ხორცის გაძვირება ევროკავშირმა დაგვაძალაო. რამდენად ახლოა ეს განცხადება სიმართლესთან?

– ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა საქართველოს მთავრობისა და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შანტაჟი. ევროკავშირმა გვთხოვა სასურსათო უვნებლობის დაცვა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხორცი, რომელიც ბაზარზე გადის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე არ უნდა იყოს. მაგრამ ევროკავშირმა გვთხოვა არა მარტო სასურსათო უვნებლობა, არამედ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებაც. ჩვენმა მთავრობამ კი გახსნა სასაკლაოები თბილისის ორ სხვადასხვა შემოსასვლელში – ნატახტარსა და თელეთში. ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ შეინარჩუნა ხორცის მიწოდებაზე მონოპოლია და შეეცადა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ფსევდოწესრიგის დამყარებას.

ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მოსახლეობაში შექმნან უარყოფითი დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია მათი ცხოვრების გაუარესებას ნიშნავს. ეს ანტიევროპული გადაწყვეტილებაა. გული მწყდება, რომ ეს ყველაფერი ევროკავშირს სწორედ ბატონმა გიორგი ბარამიძემ „დააბრალა“, რადგან მას კარგად უნდა ესმოდეს ევროკავშირის მოთხოვნები.

– საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილება საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის შესახებ. გამართლებულია თუ არა ეს ნაბიჯი ეკონომიკური თვალსაზრისით?

– პარლამენტის გადატანა ქუთაისის გამოცოცხლების სურვილით ახსნეს, რაც მცდარი შეფასებაა. განა ჩვენ არ გვინდა, ქუთაისის მსგავსად, ზუგდიდი, ოზურგეთი, თელავი და სხვა დიდი ქალაქები გამოცოცხლდეს? ამისთვის ოთხ წელიწადში ერთხელ პარლამენტი ბორბლებზე უნდა შევასკუპოთ და ცირკ შაპიტოსავით ქალაქიდან ქალაქში ვატაროთ? განა ამ გზით უნდა გამოვიყვანოთ ქალაქები სტაგნაციიდან? როდესაც თბილისში გვაქვს პარლამენტის ფუნდამენტური, შესანიშნავი შენობა, სხვა ქალაქში ახლის აშენება ფულის უყაირათოდ ხარჯვაა. ამასთან, საჭირო გახდა მთავრობის რეზიდენციის აშენება. მომავალში საჭირო იქნება მასმედიის ერთ-ერთი სერიოზული ცენტრის ქუთაისში დაარსება, ასევე შეიქმნება საელჩოების ქუთაისში გადატანის პრობლემაც. მოქმედი პარლამენტის თანამშრომლების 90 %-ზე მეტი, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს იქ საცხოვრებლად გადასვლას, ასაყვანი იქნება ახალი თანამშრომლები, რაც ქვეყნისთვის ძვირი სიამოვნებაა. ჩემთვის ამ ყველაფერს ერთი ახსნა აქვს. ახლოვდება 2012 წლის არჩევნები. ნაციონალური მოძრაობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის რეალურ მმართველად, ანუ პრემიერ-მინისტრად ხმების უმრავლესობით გაიყვანონ თავისი კანდიდატი, რაც საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გარეშე ძალიან ძნელი იქნება. ამ შემთხვევაში თბილისში აუცილებლად გამოთქვამენ პროტესტს. ეს ნაციონალებისთვის აღარ იქნება პრობლემა, რადგან პარლამენტი ქუთაისში შეიკრიბება, ქუთაისში კი ვერასდროს ჩატარდება იმხელა საპროტესტო აქცია, რისი შესაძლებლობაც თბილისშია. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისი ასევე არის კავკასიის პოლიტიკური ცენტრიც და თუ ეს ცენტრი გადავა ქუთაისში, სერიოზული ზიანი მიადგება თბილისის ამ ფუნქციას. ვეჭვობ, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ისეთივე ხალისით ჩავიდნენ ქუთაისში, როგორც ჩამოდიოდნენ თბილისში. მე რეალისტი ვარ, ოპტიმისტური შეხედულებებით და იმედი მაქვს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ოდესმე აუცილებლად ჩაანაცვლებს ჯანსაღი პოლიტიკური ძალა. მაგრამ კონსტიტუციაც თავიდან დასაწერი

გვექნება და თავიდან მოგვიწევს განათლების სისტემის შექმნა. ეს აუცილებლად მოხდება, რადგან საქართველოს გაქრობა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან შეუძლებელია.

– რამდენად სწორადაა განსაზღვრული სახელმწიფოს პრიორიტეტები, საქართველო ტურიზმის ქვეყანა უფროა, თუ სოფლის მეურნეობის?

– საქართველოს მთავრობას შვიდი წელი დასჭირდა იმის გასაგებად, რომ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა აუცილებელია. ჩავარდნილი სოფლის მეურნეობა სურსათის გაძვირების მთავარი საფუძველია. რაც შეეხება ტურიზმს, მართალია, ის საქართველოს პერსპექტიული დარგია, მაგრამ სახელმწიფოს ერთადერთი პრიორიტეტი მხოლოდ ტურიზმი კი არა, ქვეყნის კომპლექსური განვითარება უნდა იყოს.

– საქართველოში რეალური და ოფიციალური ინფლაციის დონე განსხვავდება ერთმანეთისგან?

– მაისის მდგომარეობით, საქართველოში წლიური ინფლაცია არის 14,3 %. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ჩამოყალიბდა ინფლაციის ზრდის ტენდენცია. თუ სოფლის მეურნეობა არ განვითარდება, ეს პროცესი გაგრძელდება. შემოდგომაზე, როცა ახალი მოსავალი შემოდის, ინფლაციის დონე ნაკლებია. მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ 2013 წლიდან საქართველო გახდება მოცვის ექპორტიორი ქვეყანა. როდესაც პრეზიდენტი ამ კუთხით ფიქრობს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, უკვე გასაგებია, თუ რამდენად ღრმად და სერიოზულად აქვს გააზრებული ქვეყნის ხელმძღვანელობას საქართველოს მომავალი ეკონომიკა.

– ხშირად ამბობენ, რომ ეროვნული ვალუტის კურსი ხელოვნურადაა „დაჭერილი“. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ?

– ლარის კურსის სტაბილურობას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი. მათ შორის ფულადი გზავნილები, უცხოური ინვესტიციები და დახმარებები, რომელსაც ქვეყანა იღებს. ეროვნული ვალუტის დღევანდელი კურსი სავსებით ობიექტურია. ეროვნული ბანკიც იმიტომ არსებობს, რომ ხელოვნური რყევები გამოირიცხოს ლარის კურსში. ამიტომ დღეს მის ხელოვნურ შენარჩუნებაზე შეხედულებები მითია.

– ბატონო ვლადიმერ, როგორც ეკონომიკის ექსპერტი, როგორ შეაფასებთ თბილისის საკრებულოს სკანდალურ გადაწყვეტილებას, დასუფთავების გადასახადი მიბმული იყოს მოხმარებული ელექტროენერგის რაოდენობასთან?

– გავიხსენებ ჩემი კოლეგის, სოსო ცისკარიშვილის შეფასებას: „საქართველოში ნაგვის საზომ ერთეულად შემოღებულ იქნა კილოვატ/საათი“. ვინც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, თურმე მეტს ანაგვიანებს. ასეთი დასკვნა აშკარად კურიოზულია. არცთუ ისე დიდი ხნის წინ თბილისის მერი, ბატონი გიგი უგულავა იმყოფებოდა ლატვიაში, სადაც თქვა, ოპოზიციას ხალხი აღიქვამს ანტიმიშად. მათ უნდათ „გაუმჯობესებული მიშა“. ამით მან თქვა, მე ვარ ეს „გაუმჯობესებული მიშაო“. გარკვეული დროის შემდეგ კი განაცხადა, თუ დასუფთავების გადასახადს დავიანგარიშებთ მოხმარებული ელექტროენერგიით, ეს სამართლიანი იქნებაო. ახლა ხალხმა განსაჯოს, უნდათ ასეთი „გაუმჯობესებული მიშა“ თუ არა.

მაიკო აბაშიძე